

სტუდენტთა სარეიტინგო სისტემა

ხშირად დასმული კითხვები

1. როგორ დავრეგისტრირდე?

სტუდენტთა სარეიტინგო სისტემაში რეგისტრაცია შესაძლებელია ორი გზით: სტუდენტმა უნდა ჩამოტვირთოს სარეგისტრაციო ფორმა ბმულიდან: <https://ss.ibsu.edu.ge/students-ranking-system/>, შეავსოს და გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე: nsamkharadze@ibsu.edu.ge

ან შეავსოს აღნიშნული სარეგისტრაციო ფორმა ადგილზე: ოფისი A512. პროექტში ჩართვა და ქულების დაგროვება შესაძლებელია ნებისმიერ დროს სემესტრის განმავლობაში.

2. როგორ ხდება ქულების დაგროვება?

რეგისტრირებული სტუდენტების მიერ სარეიტინგო ქულების დაგროვება ხდება სემესტრის განმავლობაში (მიმდინარე ვადების შესახებ იხ. ველი „მიმდინარე განცხადება“) სხვადასხვა კლასგარეშე პროფესიული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტების ეტაპობრივად წარმოდგენის გზით. თითოეულ შესაძლო პროექტს, აქტივობას ან დოკუმენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი სარეიტინგო ქულა (იხ. ველი „სქემა და შეფასება“).

სემესტრის ბოლოს ხდება პროექტების და აქტივობების შედეგად დაგროვებული ქულების ჯამის სკალირება. საბოლოო სარეიტინგო ქულა გამოიყვანება სკალირებული ქულების 60%-ისა და მიმდინარე სემესტრული GPA-ს 40%-ის დაჯამებით.

3. როდის შემიძლება საბუთების წარმოდგენა?

როგორც სარეგისტრაციო ფორმის, ისე აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

4. ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

სტუდენტთა სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობის მიღება შეუძლია სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნებისმიერ სტუდენტს, რომლის GPA შეადგენს მინიმუმ 75-ს 100-იდან განურჩევლად პროგრამისა, კურსისა და სწავლების ენისა.

5. შემიძლია თუ არა მონაწილეობის მიღება იმ შემთხვევაში თუ აქამდე მქონია მიღებული მონაწილეობა პროექტში?

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც აქვს GPA არანაკლებ 75-ისა, შეუძლია მონაწილეობის მიღება იმ შემთხვევაშიც, თუ სტუდენტი აქამდე დარეგისტრირებულია და/ან დაკავებული აქვს საპრიზო ადგილი გასულ ეტაპებში.

6. რა საბუთებია საჭირო ქულების დასაგროვებლად?

ქულების დასაგროვებლად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს თითოეული აქტივობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ცნობა ან სხვა ტიპის დოკუმენტი (დეტალური ჩამონათვალისთვის იხ. ველი „წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი“).

7. რა მნიშვნელობა აქვს GPA-ს?

საბოლოო სარეიტინგო ქულის გამოთვლისას ითვლება სტუდენტის მიმდინარე სემესტრული GPA-ს 40% (აქტივობების შედეგად დაგროვებული სკალირებული ქულის 60%-თან ერთად).

8. რა შეიძლება იყოს მაქსიმალური სარეიტინგო ქულა?

მაქსიმალური ქულა კლასგარეშე პროფესიულ აქტივობებში დაგროვებული სარეიტინგო ნედლი ქულების შედეგად განუსაზღვრელია: მონაწილე წარმოსადგენს ყველა იმ აქტივობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაშია სარეიტინგო მოთხოვნებთან სემესტრის ბოლოს ხდება ამ ქულების დათვლა, სკალირება და 100-ბალიან სისტემაში გადაყვანა.

9. შედეგები როდის იქნება?

სარეიტინგო სისტემის შედეგები ცხადდება აკადემიური კალენდრის მიხედვით მიმდინარე სემესტრის დასრულებისთანავე. კონკრეტული მიმდინარე ეტაპის ვადებისთვის იხ. ველი „მიმდინარე განცხადება“.

10. რამდენი სტიპენდიანტი გამოვლინდება?

სტუდენტთა სარეიტინგო სისტემის თითოეული ეტაპის ფარგლებში გამოვლინდება ერთი სტიპენდიანტი. სხვადასხვა ადგილებზე გასული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სხვა შესაძლებლობების სანახავად იხილეთ ფაკულტეტის საიტი.

11. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა მოიპოვა ფასდაკლება სწავლის გადასახადზე და თუმცა, ამავდროულად, აქვს იბსუს სრული გრანტი და სწავლობს უფასოდ?

ასეთ შემთხვევაში სტუდენტს საშუალება ეძლევა ისარგებლოს ერთი საფეხურით ნაკლები ადგილისთვის განსაზღვრული შესაძლებლობით: იბსუს ტრენინგ ცენტრში მისთვის სასურველი ერთი ტრენინგის უფასოდ გავლა.

12. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დარეგისტრირდება სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობისთვის, და სემესტრის განმავლობაში არ წარმოადგენს არცერთ პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტს?

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია (სერტიფიკატი, ცნობები და ა.შ.) მინიმუმ 5 სხვადასხვა კრიტერიუმის დაკმაყოფილების დასტურად იმისთვის, რომ მიენიჭოს ნებისმიერი სარეიტინგო ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს სარეიტინგო ადგილი არ მიენიჭება;

13. თუ სტუდენტი მონაწილეობს სერტიფიცირებულ პროექტში მსმენელის სახით (ესწრება პროექტს, მაგრამ არ გადაეცემა სერტიფიკატი), ეთვლება თუ არა მას აღნიშნული პროექტის ქულა?

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მონაწილეობს სერტიფიცირებულ პროექტში მსმენელის სახით (არ გადაეცემა მონაწილეობის სერტიფიკატი), ის ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნულ პროექტზე დასწრების დადასტურება შემდეგი გზით: დაწეროს წინასწარი განცხადება პროექტის კოორდინატორთან ამგვარი პროექტისთვის მინიჭებული ქულის ჩათვლის შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს პროექტის ორგანიზატორის მიერ სტუდენტის დასწრების დადასტურება - ცნობა, ელექტრონული წერილი, მსმენელის სერტიფიკატი და ა.შ., წარმოადგინოს ფოტო-მასალა, რომელიც ადასტურებს სტუდენტის ამა თუ იმ პროექტზე დასწრებას მსმენელის რანგში;¹

14. თუ სტუდენტი მონაწილეობს პროექტში სრულფასოვნად, თუმცა პროექტი არასერტიფიცირებულია, ეთვლება თუ არა მას აღნიშნული პროექტის ქულა?

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მონაწილეობს არასერტიფიცირებულ პროექტში, ის ვალდებულია, წარმოადგინოს პროექტზე დასწრების ნებისმიერი დამადასტურებელი

¹ ამ და მსგავს შემთხვევებში პროექტის კოორდინატორი ფაკულტეტის საბჭოთან ერთად იტოვებს უფლებას, მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება კონკრეტული შემთხვევის დამოუკიდებლად განხილვის საფუძველზე;

დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სარეიტინგო ქულა აღნიშნული კრიტერიუმისთვის არ მიენიჭება.²

15. როგორ უნდა მივიღოთ ინფორმაცია პროექტის შესახებ?

პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია განთავსებულია ფაკულტეტის საიტზე: ss.ibsu.edu.ge (იხ. ველი „გზამკვლევი“). კონკრეტული ეტაპის გამოცხადება ან შედეგების გამოქვეყნება ხდება ამავე საიტზე „განცხადებების“ ველში. ინფორმაცია შესაბამისად ვრცელდება ასევე სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალურ Facebook გვერდზე. აღნიშნული რესურსების საშუალებით არასაკმარისი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში უნდა დაუკავშირდეთ სტუდენტთა სარეიტინგო სისტემის კოორდინატორს: ნინო სამხარაძე, ელ-ფოსტა: nsamkharadze@ibsu.edu.ge, ოფისი: A512.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი გისურვებთ წარმატებებს!

² იგივე.